დროებით შტატზე დანიშნულ იუნკერთა ფუნქციონალური მოვალეობები

დროებით სამეთაურო შტატზე დანიშნული იუნკერები, საკუთარ მოვალეობას ასრულებენ დამტკიცებული ფუნქციონალური მოვალეობების შესაბამისად.

ასეულის მეთაური იუნკერი პასუხისმგებელია ასეულის წინაშე დასმული ამოცანებისა და დავალებების შესრულებასა და კონტროლზე, ასეულის იუნკერების მიერ საკუთარი ფუნქციონალური მოვალეობის შესრულების კონტროლზე.

ასეულის მეთაურის მოადგილე იუნკერი პასუხისმგებელია ასეულის მეთაურთან ერთად ასეულის წინაშე დასმული დავალებების და ამოცანების შესრულებაზე, ასევე ასეულის მეთაურის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შთავსებაზე.

ასეულის სერჟანტი იუნკერი პასუხისმგებელია პირადი შემადგენლობის მიერ დისციპლინის დაცვასა და კონტროლზე, ასევე იუნკერთა მიერ დღის განრიგის შესრულებაზე.

ოცეულის მეთაური იუნკერი პასუხისმგებელია ოცეულის წინაშე დასმული ამოცანებისა და დავალებების შსრულებასა და კონტროლზე, ასევე ოცეულის იუნკერების მიერ საკუთარი ფუნქციონალური მოვალეობის შესრულების კონტროლზე.

ოცეულის სერჟანტი იუნკერი პასუხისმგებელია პირადი შემადგენლობის მიერ დისციპლინის დაცვასა და კონტროლზე, იუნკერთა მიერ დღის განრიგის შესრულებაზე და ასევე ზემდგომი მეთაურის ბრძანებების შესრულებაზე.